კვირა, 13 თებერვალი 1911 წ. ფასი ყველგან 10 კაპ.

№ 6 სალიტერატურო ჟურნალი

წერილები და ფული გამოიგზავნება ამ ადრესით: Тифлисъ, Типографія Т-ва „Шрома". Теофилу Ерастовичу Болквадзе.

სატრფოს.

არა, ჯაქვი ველარ გასძლებს
და ბორკილი დაიმსხვრევა.
გულით სევდის ღრუბელთ გროვა
გაიფანტვის... გაიბნევა.

ამაყია გმირი გული:
მტრის წინ იგი არ იხრება,
თუმც ვიცი, რომ სამსხვერპლოზე
სისხლი ისევ დაიღვრება.

გაზაფხულის მწვანე მდელოს
რომ დაურბენს ნიავ—ქარი,
და იმის წინ ხმას ჩაიკმენდს
ცხოვრების ზღვა, ბობოქარი,—

გარიჟრაჟის სათაყვანოთ
ამღერდება მყის ბულბული
და დღეს მკვდარი, კვლავ იფეთქებს
სიყვარულის ნაკადული...

ჩემო სატრფოვ! თუ რომ მაშინ
ცოცხალთ შორს დამინახო,
გთხოვ, სალამი და ამბორი
საამღროვოთ შემინახო.

თუ არა და .. მკვდართა შორის
შენ მოსძებნი ჩემს სამარეს,
და უკეთეს რაღას მიზამ,
თუ დამაფრქვევ ცრემლსა, ცხარეს!!.

დე, ცრემლი ცრემლს აეკიდოს
მარგალიტის ლამაზ მძივათ,
ჩვენი წმინდა სიყვარულიც
დე, აფეთქდეს ობოლ სხივათ!..

მაპატიე, ჩემი თავი
ცოცხლათ რომ ვერ შეგინახე
მაგიერად, სიკვდილის წინ,
გულს ჩავიქდე შენი სახე!..

ნ. ზომლეთელი.

საბრალო ბაბუა.

(დასასრული)

V

დილაა. . თოვა გადიღო,
ქარმა ღმუილი შესწყვიტა,
ამოანათა წყნარად მზემ,
გიგოლს ჭინჭებში შესჭვრიტა;
ყმაწვილმა უცბად სამოსი
აიძრო თავი, აჰხარა,
მზეს რომ შეხედა, ლხენისგან
კინაღამ ცრემლი ჩაღვარა.

— ბაბუ—შესძახა—გადავრჩით,
აწ კი მივაღწევთ სახლშიო,
მიდამო მისტკბა...გავსწიოთ,
მეც თან მოგყვები მხარშიო!..

მაგრა მბაბუა მუნჯათ ზის,
ხმას აღარ იღებს ზალიკო. .
ჰკვირობს გიგოლი: მის უმალ
ეს უნდა წამომდგარიყო!

ხელს ჰკიდებს მოხუცს, ჩასძახის,
აღვიძებს, არყევს ძალზედა;
მაგრამ რაღაცა შენიშნა...
შეფრთხა და გახტა განზედა!
ბაბუა გვერდზე გადიქცა,
დევს მოკუნჩხული, უძრავი,
კისერი გაშეშებია,
დაჰკიდებია ძირს თავი.

ჩაჭლურჯებია თვალები,
კბილები დაუხრჭენია,
ზედ მიჰყინია ხორცი ჯოხს,
ცალ ხელში რომა სჭერია;
ლურჯად მოუჩანს მხარ-ბეჭი,
სახე აქვს ყინვით დამჭკნარი;
დევს უმოძრაოდ, უსუნთქოდ,
შესაშინელი, საზარი.

ერთ ხანს ყრუდ იდგა გიგოლი,
მუნჯობდა, ვერას ამბობდა,
გადიდებოდა თვალები,
თითქო გასქდომას ლამობდა;
შემდეგ განირკვა, აშფოთდა
ელდით და გულის ტრიალით;
შეშინდა, გაქრა, გაიქცა
სოფლისკენ მწარის ღრიალით.

VI.

მას აქეთ განვლო დიდმა დრომ,
ბევრი რამ მოხდა ცვლილება;
ცხოვრების ბრძოლამ მაგემა
მეც მწარე გამოცდილება,
განმიქრო გრძნობა ჭაბუკის,
მბასრავი ბრჭყალი ჩამჭიდა
და ზრუნვა ჩემგვარ კაცთათვის
მეც მძიმე ტვირთად ამკიდა.

ხშირად მემტყუნა იმედი,
არ მეშხრო, ამითვალწუნა
და წმინდა რწმენის მაგივრად
ურწმუნოება მარგუნა;
გამიტყდა გული: აზრთა ზღვას
ზღვა გულის კარი გავუღე,
მაგრამ მას შორე მომავლის
ალღო კი ვეღარ ავუღე.

და შავ-ფიქრებით მოცულმა
სოფლით შორს ვიწყე მგზავრობა,
შორს გავურბოდი კაეშანს.
რა კი დამიწყო მძლავრობა.
ამ მგზავრობის დროს სამარე
ვნახე მე განმარტოებით,
ვნახე და იმის მახლობლად
შევჩერდი ცოტა დროებით:

გორაკზედ იდგა... გარშემო
ახლდა კორდები, სერები,
ტუფად ქარგაღდნენ მათს კალთებს
ყვავილნი ათას ფერები;
გულ-შემატკივრად უცქერდა
შორით მას მწვანე ტყე-ველი;
ყოველ მხრივ ედგა სიმშვ-დე,
სიწყნარე შეურყეველი.

საფლავს გარს ერტყა ჯგუფ-ჯგუფად
ხევნარი მრავალ-შტოვანი,
მის ქვეშ მწვანობდა ბალახი
ნორჩი და ხავერდოვანი;
უქროდა წყნარი ნიავი,
ფოთლებს გაჰქონდათ ჩურჩული,
მათს თავზედ ჰაერს აპობდა
მერცხალი. როგორც შურდული.

იქ იდგა ძეგლი უბრალო...
იმ ძეგლს დავუწყე მე ცქერა.
— „აქ წევს საბრალო ბაბუა —
ძეგლის გვერდს ასე ეწერა.
მის სისუფთავის შეხედვით
სტკბებოდა სული და გული;
ირგვლივ მიდამო ყოველ მხრივ
იყო დაწმენდილ დაგული.

იქ იჯდა ორი ყმაწვილი,
ქალი და ვაჟი პატარა;
ვაჟს რომ შეეკითხე, მან ირგვლივ
სამარე შემომატარა
და სთქვა: ჩვენ გიგოს შვილნი ვართ,
აქ პაპა ზაალ წევსაო;
როცა კი მოვა მამა აქ,
მწარე ცრემლს დააფრქვევსაო;
მიტომ რომ პაპას გიგოსი
კლასში მიცემა სდომოდა,
მაგრამ იქ სკოლის უფროსი
თავის რჯულს გადასდგომოდა:
გიგოლი აღარ მიეღო
და პაპა ჩვენი ზალიკო

რომ მოსულიყო ამ ალაგს,
აქ ბუქში ამომხჩვალიყო.
მამა დღეს უსწავლელია,
ჩვენ კი გვზრდის ყველა შვილებსო,
აქ ნაშუადღევს მოვდივართ
და ვსწავლობთ გაკვეთილებსო!“

კვლავ შევეკითხე: ეგ კარგი!
სწავლა ძვირფასი რამ არი,
მაგრამ საფლავთან რომ სწავლობთ,
ნუ თუ არა გაქვთ სახლ-კარი?

—„სახლი გვაქვს!..მაგრამ აქ ვსწავლობთ,
ხშირად აქვე ვსჭამთ პურსაო;
ეს მიტომ, რომა ზალიკოს
სულ ჩვენთან ყოფნა სურსაო
როცა გაკვეთილს ვკითხულობთ,
ყურს გვიგდებს, როგორც მართებსო,
თუ კარგათ ვიტყვით, „ჰოს“ ამბობს,
თუ გლახათ—სიცილს მორთებსო!
მას ჩვენი სწავლა ახარებს,
სიხარულს ვეღარ მალამსო;
რომ მოვალ გვესმის ჩურჩული,
ღიმილით გვაძლევს სალამსო.
ვაი, იგი მკვდარია:
მკვდარი ვერ წამოდგებაო,
თორემ ის მუდამ ჩვენ გვხედავს,
ჩვენი ხმა ეყურებაო!“

კვლავ შევეკითხე: გინახავთ
თქვენ თქვენი პაპა ზალიკო?!
—„არა—მათ მითხრეს—აკი ვსთქვით,
ის ბუქში ამომხჩვალიყო.
რათ ვერ გაიგე ნეტავი?
ის ალარ არის მისს გვარში,
მხოლოდ ღამ-ღამით შემოდის,
ვნახულობთ მარტო სიზმარში...
მკვდრები ღამ-ღამით დადიან
და ჩვენც რომ ღამე ვითიოთ,
ის სახლში ჩუმად შემოვა
და ჩვენც რომ ღამე ვათიოთ,
ის სახლში ჩუმად შემოვა
და ცხადშიც ვნახავთ ჯუთუდ.
მას სიზმრად როცა ვნახულობთ,
ყოველთვის არის მწუხარი,
სცივა. . ცეცხლს ეძებს...ძირს ფოფხავს,
უნდა, რომ ნახოს ბუხარი.
ფორთხავს და ჩუმათ ბუტ-ბუტობს,
იტანჯვის სულთან ბრძოლაში:
ალბად იხჩობა ქარ ბუქში,
ან გიგო მიჰყავს სკოლაში. —
როგორც ინათებს, გაჰქრება,
ლანდს ვხედავთ ანაწოლ მისას,
ალბათ იშიშვის: არ შეხვდეს
იმ წყეულს უფროსს სკოლისას.

VII.

ბავშვის გულწრფელმა სიტყვებმა
აღმიძრეს მწარე იქვები:
გულში ვსთქვი: როგორც ზალიკო,
ჩქარა მეც ისე მივქრები,—
მაშ რისთვის ვზოგავთ სიცოცხლეს,
რათ არ შევმუსრავთ იმ ძალსა,
რაიც კარს განათლებისას
უხშობს დღეს მშრომელს საწყალსა!
ვხედავთ, რომ მტარვალთ გუნდები
ჩვენს ტანჯვას აღარ კმარობენ,
ჩვენს ქედით ნაკრეფს სიმდიდრეს
ჩვენს ასალამად ხმარობენ.
სწავლა კი... სწავლა ხალხისა
მტარვალთ მმუსრავი ხმალია
და გზას უკრავენ მისთვისაც:
ის ჩვენ ვერ მოგვიხმარია!..
ვერრას გვიწამლებს ჩვენ მარკსი,
ვერც ჭკუა მკვირცხლი ბებელი,
სანამდის ხალხი იქნება
მუნჯი და შეუგნებელი.

ცახელი.

საბედისწერო ჩუსტები

(ამბავი სოფლის ცხოვრებიდან).

(გაგრძელება. იხ. სალამ. № 5.

II.

— დედა, ბაბე! – სიხარულით წამოიძახა ცეცხლის პირას მჯდომმა პატარა ელპიტიმ, როცა მამა მისი კარებზე მოადგა. ექვთიმეს რაღაცა ეჭირა ხელში, რომელიც შემოსვლისათანავე გადასცა ირინეს და უთხრა:

— გამომართვი აგი და მალე გაკეთე.

ამ სიტყვების შემდეგ ერთი მწარედ ამოიოხრა, წაატანა ხელი პატარა სამფეხა სკამს და ცეცხლის ახლოს დაჯდა. ექვთიმეს თმა შეჭაღარავებული ჰქონდა. მომაღლო ტანის, განიერი ბ დანაოჭებული შუბლი მოგრძო ცხვირი და ხშირი წარბები. აი ასეთი შეხედულობის იყო ექვთიმე. ის ნამდვილი სოფლელი გლეხის ტიპი იყო. სულ მუდამ ნაღვლიანათ გამოი-

ყურებოდა ექვთიმე. მისი თვალი მუდამ დასევდიანებულიიყო. მან აიღო ნაფოტი და დატალახიანებულ ქალამნებს წმენდა დაუწყო. შემდეგ დაიხადა ქალამნები, დახედა ზედ და სასოწარკვეთილებით ჩაილაპარაკა: — ვაი, ჩემო დღეო!.. რაღა ჩვენცა აწი ფეხზე, რედეით გამოვიდე გარეთ?— ქალამნები ისე დახეულიყვნენ რომ ჩასაცმელათ მართლაც აღარ ვარგოდენ. ექვთიმემ წინდებიც წაიძრო და ქალამნებთან ერთად ცეცხლზე მოდებულ ჯირკვნე შე მოდო.

— რა გეშველება მერე შენ უბედურო! ამისთანა დროს ფეხზე მაინც აღარ უნდა ეცვას ოჯახის კაცს?— მწუხარებით წარმოსთქვა ირინემ, რომელიც კუთხეში საფქვილესთან იდგა და ფქვილს სცრიდა — ვინ გასესხა კაცო სიმინდი?— შეეკითხა ირინე ქმარს.

— ჩვენმა ბაყაყმ. ვიფიქრე წისქვილი თავისუფალი დამხვდება მეთქი, მარა აღარ დარჩა... მერე მეწისქვილეს შევეხვეწე და სასადილო ფქვილი გამოვართვი... იგი კი დილას მეკითხეო ..

— ღმერთო შენ კითხე მაგიორა იმას, ვისი წყალობითაც ჩვენ ამისთანა გაჭირვებაში ვართ დღეს. ნუ შეარჩენ ღმერთო ნუ, ნუ!.. თუ ხარ ქვეყანაზე გამეიჩინე შენი სამართალი! —სიმწუხრით ამბობდა ირინე და გაჩქარებული ჭადს ზელდა. ექვთიმე კი ამ ღროს თავჩაქინდრული იჯდა და ღრმა, შავს ფიქრებს მისცემოდა. მის ყურებს ესმოდა შვილების დაუსრულებელი ჟღურტული. „ხუმრობაა ამდენი სული და უსიმინდობა?! სად უნდა წავიდე, ვის უნდა ვსთხოვო შველა!.. გარედაც აღარ გამომესვლება, ტანზე მე არ მაცვია და ფეხზე. ყოველთვინ სხვას რაფერ ვთხოვო; იგინიც აღარ შემიბრალებენ და მეც შემცხვება მუდამ ხვეწნა-მუდარა. არა და რა უყო აგენს?.. რა პასუხი მივსცე ღმერთს და კაცს რომ აგენი შიმშილით დამეხოცოს?!.. ოხ, ღმერთო, ბარემ ადრე მომკალი, ადრე და აგენის ცოდვას ნუ შემომასწრებ. ასეთ სიცოცხლეს მაინც სიკვდილი სჯობია. რა სიცოცხლეა ჩემი სიცოცხლე?.. ღმერთმა დააქცია იმის ოჯახი ვინცხამ იგი თქვას რომ ქვეყანაზე კანონი და სამართალი არაა. აგია კანონი და სამართალი რომ ამოდენა სული შიმშილით უნდა დევიხოცოთ? მერე რის გულიზა, რატომ, რა დავაშავეთ, რომელი ყაჩაღობა და რაზმონიკობა ჩვენ ჩავიდინეთ?!. ვინცხა თავ-აღებულმა წუწკი და გაფუქებული წაახჩო და ამის გულიზა ჩვენ უნდა გვაწამონ, მიწასთან გაგვასწორონ; ცოლშვილიანა მშიერ მწყურვალი უნდა დაგვყარონ შარაზე და ჩვენი ნაოფლარით ვიღაც ოხერ-კოტრებმა და უსაქმურებმა უნდა დაძღენ... მაპრახებით ტყვავი უნდა აგვაძრონ. ვინ არის ჩვენი გამკითხავი? ვინ არის პატრონი? ვინ შეგვიბრალებს? ვინ გვიშველის? ყველე წახთა, ყველე გაავაზაკდა, ყველე მოღალატეა, ერთი პირი არ აქვენ. ყველე თავის სარგებლობას ეძებს. ოხ, ღმერთო, სად არის კანონი, სად არის სამართალი, სად არის შებრალება?!.. აგი თუ სამართალი და კანონია რომ უკანასკნელი ლუკმა ამოგვაძრონ პირიდან, უკანასკნელი ტყავი გაგვაძრონ, მაშინ, ცარცვა-გლეჯაც და ქურდობაც სამართლიანი ყოფილა! — ექვთიმეს მოაგონდა ის საზარელი ამბავი, რომლის დროსაც ის გალახეს და სარჩო გაუყიდეს. ამ მოგონებამ გრძნობა მოუშხამა, გული სიბრაზით აევსო და ტუჩებს მაგრათ დააჭირა კბილები.

ამას შემდეგ ექვთიმემ დაიწყო ფიქრი, თუ სად უნდა ეშოვა მას სასესხებლად ფული მან კარგად იცოდა იცოდა რომ უფულოთ მის ეხლანდელ მდგომარეობას არაფერი ეშველებოდა დიდი ხნის ფიქრის შემდეგ ექვთიმეს აზრი და გონება ადგილობრივ ღვდელზე შეჩერდა „ისევ იმას უნდა შევეხვეწო; წინათ ქე იცოდა ხელის გაწყობა და ეგება ახლაც ქე შემიბრალოს“, — გაიფიქრა ექვთიმემ და გადასწყვიტა თავის ვულში, რომ დღესვე წასულიყო ღვდლისას.

ბავშვებმა, თითქო იგრძნეს ექვთიმეს გადაწყვეტილება და ახმაურდენ.

— რას შობით ბაბა, ცეცხლში არ ჩააგდოთ ერთი მეორე. — გაოფრთხილა ექვთიმემ შვილები და ირინეს მიუბრუნდა: — შენ იჩქარე ცოტა, ვასილთან უნდა წავიდე.

ირინემ ის იყო ჭადი დააკრა და ეხლა დაბანილ ხელებს იმშვრალებდა.

— რა გინდა ვასილთან?— შეეკითხა ირინე ქმარს.

— აბა ვისთან წავიდე?.. შევეხვეწები.. ეგება ერთი თუმანი მასესხოს ვექსილით, —უთხრა ექვთიმემ.

— ჰო, კაია მარა რეით წახვალ შენ უბედურო ფეხზედ რომ არ გაცვია; კიდეც გათოვდა.

გარეთ ამ დროს მართლაც სთოვდა.

— თოვს, თოვს, —სიხარულით წამოიძახა ექვთიმეს უფროსმა გოგომ ანეტამ და კარებისაკენ გაექანა. მას დანარჩენებიც აყვნენ და აღტაცებით დაუწყეს ცქერა ჰაერში მოთამაშე თეთრ ფერფლებს, რომლებიც წყნარად და თან სიჩქარით ცვიოდნენ მიწაზედ. ცოტა ხანს უკან, ყველანი პატარა სუფრას შემოუსხდნენ და სადილის ჭამა დაიწყეს. სადილს უკან ექვთიმემ საცოდავათ მოიგონგა ფეხზედ დაგლეჯილი წინდა და ქალამნები და ვასილ მღვდელთან წავიდა.

ვასილ თუმცა ღა ძალიან ძუნწი და ხელ-მოჭერილი კაცი იყო ფულის გასესხებაში, მაგრამ თუ კი ვექსილზე გაასესხებდა ფულს მაშინ დაკარგვის არ ეშინოდა, „რას მიზამს, როცა მინდა მაშინ გადავაძრობ თავზე საფლსო ,—იცოდა თავის გულში ვასილი, როცა ვინმეს ვექსილით ფულს მიასესხებდა ექვთიმემაც იცოდა ვასილის ამგვარი ხასიათი, ამასთან ის რაღაცას კიდევაც ენათესავებოდა მას, და ამიტომ დაიმედებული წავიდა.

ექვთიმეს მოლოდინი გამართლდა. როცა ის საღამოს დაბრუნდა სახლში, ცოლს ახარა ვასილმა ფული დამპირდა ამ ოთხ-ხუთ დღეში და ვექსილი უნდა მოვუმზადოვო.

— დედა, შენი ჭირიმე!—სიხარულით წამოიძახა ირინემ, მაშინვე წყალი გაათბო, დაბანა ფეხები მოღლილ ქმარს და სადილის ნარჩენიდგან ვახშამი გამოუწყო. ცოტა ხანი და ექვთიმეს სახლობა დასაძინებლათ დაწვა.

III.

შუა ღამეზე გადასული იყო, როცა ექვთიმეს კარები დაუბრახუნეს. პირველად ირინეს გამოელვიძა. ცოტა არ იყოს შეეშინდა. ნეტავი ვინ უნდა იყოს? რაღას გვერჩიან? კიდომ აღარ გვავენებენ?.. ღმერთო ნუ მიზამ საშინელ საქმეს,—ამბობდა შეშინებული ირინე თავის გულდ. ის მივიდა ქმართან და ღვიძება დაუწყო:

— კაცო ექვთიმე! ადექ ზედ ვინცხა კარებზედ აბრახუნებს.

— აბრაგუნებს?—შიშით წამოიძახა ექვთიმემ და ლოგინიდან გიჟივით წამოვარდა. „ვაი თუ რამე გლახა ამბავი არის ჩემს თავზე»—ვსუელვა ექვთიმეს თავში.

— ვინ ხარ? გასძახა მან სახლიდან.

— მე ვარ მე; გამიღე ბიძია კარი!—შემოესმა ექვთიმეს იდუმალი ხმა, რომელიც მან მაშინვე იცნო...

— გაბრიელეა, გაბრიელე, მარა ამ შუაღამეზე რა უნდა?—საჩქაროთ და დაბალი ხმით უთხრა ექვთიმემ ცოლს და კარები გაიღო.

სახლში შემოვიდა ორი ახალ-გაზრდა 19—20 წლისანი, პალტოში და წუღა მესტებში გამოწყობილნი, რომლებსაც თავები ჩაბალახებით ჰქონდათ შეხვეული. ერთი ამ ახალგაზრდათაგანი იყო ექვთიმეს ძმისწული გაბრიელ წკირაძე, რომელსაც მშობლები პატარაობისას დაეხოცა მეორეს კი ექვთიმე და ირინე ვერ იცნობდნენ. გაგრიელა ეს ერთი ხანია მთავრობას ემალებოდა, რადგანაც მას მამასახლისის მოკვლას აბრალებდნენ. მასზე წინათაც ითვლებოდა რაღაცა ძველი ცოდვები და სწორედ ამიტომ იყო რომ ზოგიერთმა სოფლელებმა იქვი მიიტანეს მასზე ის მოკლავდაო, ეს მითქმა-მოთქმა ადგილობრივ ენა ტანია კაც ბის ,ყალობიო მთავრობის ყურამდისაც მივიდა და დაუწყეს გაბრიელს დევნა. მამასახლისის მკვლებობაში გაარიელი სრულიად უდანაშაულო იყო, მაგრამ როგორც კი გაიგო ჩემზე იქვი მოიტანესო, იმ წამსვე ამჯობინა გაქცეულიყო, ჩემზე იქვი მოიტანესო, იმ წამსვე ამჯობინა გაქცეულიყო რომ მთავრობას არ ჩავარდა ხელში. „წავალ ჩემთვინ და ისე არ მოვკვდები მაინც რომ ვაღაცის ჟინი არ ვიყაროვო“, ამბობდა გაარიელ თავის გულში როცა გასაქცევად ემზადებოდა და საიმედო ამხანაგებში იარაღს დაეძებდა. გაბრიელ სოფლელებსაც ისე ემალებოდა, როგორც მთავრობას, რადგანაც გაცემისა ეშინოდა ის ხანდახან ფრთხილად შემოიპარებოდა თავის სოფელში ვინმე საიმედო პირთან ღამის გასათევად ან ან და ცოტა ხნით დასასვენებლად. ასეთ საიმედო პირად მან ეხლა თავისი ბიძა იაირჩია.

— გამარჯობა ბიძია!.. არ შეგეშინოს, აგი ჩემი ამხანაგია, სიმონ ცქვიტაძე. ცოტას დავისვენებთ და წავალ თ,—უთხრა გაბრიელმა ბიძას შემოსავლისათანავე.

ექვთიმე ჩაფიქრდა, არ იცოდა რა ექნა. მან კარგად იცოდა თუ რა მოელოდა მას ოჯახში ყაჩაღების მიღებისათვის თუ ამას პოლიცია გაუგებდა, მაგრამ რაღას იზამდა, გულზე ხელს ხომ ვერ კრავდა, და სტუმრები მიიწვია.

— არა ბიძია, არა, ჩემი ნუ გეშინია, ვითომ ასე ჩქარა გაწყრება ღმერთი?! მოდით დაჯექით ცეცხლთან,—უთხრა ექვთიმემ გაბრიელს და ცეცხლი გაიჩაღა. ირინეც მოვიდა.

— გამარჯობა შენი კაცო,—მიესალმა ის გაბრიელს და ხელი ჩამორთვა.

— იცოცხლე ბიცოლა ათას წელიწადს!.. ხომ არ გეშინია ბიცოლა ჩემი?!.

— ვაიმე, გაბრიელ შენი რავა უნდა გვეშინოდეს, მარა ხომ იცი...

— ჩვენ მალე წავალთ, ნუ გეშინია,—გააწყვეტინა გაბრიელმა.

— ირინე, ყმაწვილები უშველი იქნებიან, გადაგაადგი კეცი, ფქვილი ხომ კია კიდომ?.. თლათ ორ ოყა ნახევარი იყო რომ მევიტანე.

— კი არის მარა უკეთესი იქნება კვერი გიმოუცხო.,.

—ტყუილად იწუხებთ თავს ბიძია,, ჩვენ არაფერი არ გვინდა, გამძღრები ვართ; შენ ოღონდ ერთი გაგვათბე და მერე გზა დაგვილოცე. აი შენ ეს საჩუქარი მოგიტანე თუ არ გეწყინება ამ სიტყვებ-

თან ერთად გაბრიელმა ჯიბიდგან რაღაცა ნარმის ნახევში შეხვეული ამოიღო და ექვთიმეს გადასცა.

— რაა ბიძია აგი? — ჰკითხა ექვთიმემ ღიმილით და შეხვეული ნივთი გახსნა და ახალი ჩუსტები აღმოჩნდა.

— ოჰო, შენ, თავი მიმყოფა ღმერთმა კარგად ჩემო ბიძია! რას იწუხებდი თავს?! .

ექვთიმემ აღარ იცოდა სიხარულით რა ექნა. ზამთარში ფეხშიშვლობა მისთვის დიდ უბედურებას მოსწავებდა. წასავალ-მოსავალი და საზრუნავი ბევრი ჰქონდა, გამკეთებელი კი მის მეტი არავინ იყო. „აწი ფეხი მაინც კი მექნება თბილად და წასვლა მოსვლა აღა გამიჭირდება, — გაიფიქრა მან.

— ახლა ამ წუღის ისტორიას გეტყვი ბიძია! — წამოიძახ. გაბრიელმა და სიცილი დაიწყო.

რა ისტორიას ბიძია? ხიფათში არ გამაბა!...

— არა შენ ნუ გეშინია, არხეინად იყავი, ყური დამიგდე და გეტყვი: შემოუდექით თუ არა ჩვენ ქედს დაღამდა. სოფლის თავში რომ ჩამოვედით საშინლათ გათოვდა ისე ჩამობნელდა რომ გზას ვეღარ ვიკლოვდით... აღარაფერი აღარ ვიცოდით სად ვიყავით ან საით მივდიოდით. ამ დროს ძლივს ძლივობით ჩვენი ეკლესია დავინახე იქ შენ კარგათ იცი სამსონა კვინწარიძეს სახარაზო დუქანი აქ. ავედით ამ დუქნის წინ და ცოტა ხანს დავისვენეთ. დუქანი დაკეტილი იყო. მე უეცრად მომაგონდა სამსონას სიძუნწე ერთხელ მას მთელი დღე ვეხვეწე და ოთხ აბაზიანი ჩუსტები არ მანდო. მოდი ერთი ამას უზამ შტუქას მეთქი ვთქვი გულში და სამსონსაც გავაგებინე რაშიაც იყო საქმე. შევამტვრიეთ დუქნის კარები, მოვხვიე ჩუსტებს ხელი და იქ რომ დიდი ხევი არის იქ გადაუძახე ეს ერთი კი, რადგანაც შენთან გამორებას ვაპირებდი, ხელში დავიჭირე. — დაამთავრა გაბრიელმა ლაპარაკი და სიცილი დიიწყო.

— ვაიმე ბიძია, რომ მინახონ ხომ დავიღუპები ერთი ჩუსტის გულობიზა?! არა, არ მინდა ბიძაა!... მე მაინც მადლობელი ვარ. . სამსონე ბოროტი კაცია, იგი ამ საქმეს დედამიწაში ჩასდვეს, — ამბობდა ექვთიმე, რომელსაც ეხლა სრულიად აღარ ახარებდა ასეთი საჩუქარი.

— რას სულელობ ბიძია! — დაიწყო გაბრიელმა. — ვინ შეგიტყობს?.. ჩუსტი ჩუსტს გავს!.. სამსონეს „ფეჩატი“ კი არ არტყია ზედ. ჩეიცვი ფეხზე და იარე ამ ზამთარში.

— ვაიმე!... შიშით ჩაილაპარაკა ირინემ და უსიტყვოთ ქმარს მიაშტერდა, აბა რას იტყვისო.

ექვთიმემ აღარ იცოდა რა ექნა. მას ეშინოდა ვაი თუ მინახეს და დავიღუპეო და თან ის აწუხებდა რომ, ამ ყიამეთ ზამთარში ფეხშიშველა იყო. ის ჩაფიქრდა.

— რას ჩაფიქრდი ბიძია?! გასინჯე, რაღას უყურებ!.. მე რასაც გეუბნები სიმართლე არის. ჩუსტი ჩუსტს გავს. ფიქრი ნუ გაქ ვერავინ გინახავს.

— მართლა აგენი ხომ არავის ეტყვის და ისე ვინ უნდა გაიგოს? ჩუსტები მართლაც ჩუსტეს გავს. ერთ დღეს რომ ჩავიცვა და ვიარო მერე ვინ რას შეეტყობს. მისი პატრონიზა ხომ მაინც დაკარგულია და, მე გაჭირვებულმა კაცმა რომ არ ავიღო ამით ვითამ რა გამოვა? — გაიფიქრა ექვთიმემ.

— რა ვიცი ბიძია, — დაიწყო მან. — ქე მეფიქრება მარა ამის იმედი კი მაქ რომ თქვენ არსად არ იტყვით და ისე შეიძლება მართლაც ვერაფერი გაიგონ... ჩუსტები, შენის არ იყოს ჩუსტებს გავს. ნუ იზამთ მაგისთანა საქმეს ბიძია; თავი დაანებეთ. — დაუმატა მან ცოტა სიჩუმის შემდეგ.

— მე ხომ გითხარი, ბიძია, რისთვის ჩავიდინე ეს საქმე მეთქი!

— კი, მარა მაინც არ ვარგა...

— არც ის ვარგა ბიძია, რომ უდანაშაულო კაცი ტყის ნადირივით დაწანწალობდეს ამ ქარში და ყინვაში, მარა რას იზამ ეს წანწალი უარეს რამესაც ჩაადენიებს კაცს. ამ გვარ ყოფნაში ცხვარიც კი გამგელდება ბიძია, ცხვარიც!. ჩვენი სიცოცხლე ნამდვილი ჯოჯოხეთური ტანჯვა არის სიკვდილი ათას წილად ჯობია, მარა არ მინდა მოვკვდე ისე რომ ვინმე მტერთაგანი არ გავიმძღვარო წინ.

გაბრიელმა ლაპარაკი დაათავა და მწარედ ჩაფიქრდა.

მისმა ლაპარაკმა დანარჩენებიც დააფიქრა. სიჩუმე ისევ გაბრიელმა დაარღვია:

— აბა, წავიდეთ სიმონ, ცოტა კი შევთბით. მშვიდობით ბიძია!... ჩვენ გათენებისას ერთ ადგილას უნდა დავრჩეთ. ვინ იცის, შეიძლება მეტი ვეღარც გნახოთ. ამ სიტყვებზე გაბრიელი გადაეხვია ბიძას და ტუჩებში აკოცა. შემდეგ ირინესთან მივიდა და იმასაც გამოემშვიდობა. გაბრიელას და სიმონას თხოვნით უწინ ექვთიმე გამოვიდა გარეთ. ცოტა ხანს უკან თვითონაც გავიდნენ და ღამის წყვდიადში შავი აჩრდილებივით გაჰქრენ.

ნაშინლად ბნელოდა და სთოვდა. ექვთიმე სახლში შემობრუნდა და კარები დაკეტა.

— სიწყლები! იმისთანა დარია რომ ძალი არ გაიგდეაა გარეთ, — ნაღვლიანათ წარმოსთქვა ექვთიმემ როცა კარებს კეტავდა.

— ვაი მაგენის დღეს! — ჩაილაპარაკა ირინემ, რომელიც ცეცხლს ანელებდა. — მართლა კაცო იგი ჩუსტები მაფიქრებს მე, — დაუმატა მან ცოტა სიჩუმის შემდეგ. ექვთიმე არაფერს ამბობდა.

— არ გეყურება კაცო?

— კაი ახლა კმარა!.. ჩუსტებზე ლაპარაკს თავი დაანებე, — უპასუხა ექვთიმემ და დასაწოლად ლოგინისაკენ წავიდა ირინეს აღარაფერი უთქვამს, რადგანაც შეატყო რომ ქმარს აღარ სიამოვნებდა ჩუსტებზე ლაპარაკის გაგრძელება. მან ცეცხლი ჩაანელა და მალე ისიც დასაძინებლათ დაწვა.

ანათემა

(დასასრული იქნება)

---

* * *

თოვლის სუდარა მიწას ფარავდა,
წყვდიადს შთაენთქა მშობელი არე,
სასტიკი ყინვა გულს მიკარავდა
და... უტყვი იყო ცივი სამარე...
თეთრი მანტია ავხსენი მის გულს,
დაფნის გვირგვინი გადავაფარე,
მისსა ერთგულსა, მისგნით წამებულს
თვალთაგან მსწყდებოდა ცრემლი მდუღარე ..
ხვაშიადი კი ვერ გავუმხილე,
გულის ვარამი ვერ ვამცნე ვერა,
სამყოფი ველი გადაუხილე
სუსხის ნაფიფქს რომ ამოეწვერა.
მაგრამ შავი-ბნელი, შავი საფლავი
უსასო-უძლურს იმედს ვერ ჩაქმდა,
ქარი სიოდა გულის საკლავი, —
დამწველსა სევდას მიასკეცებდა.
ჩემო საუნჯევ! ვერ დაგი ვიწყებ!.
ღამით ქურდულათ მუდამ გეწვევი,
დაკარგულ ემედს კვლავ დაგიტირებ,
მფარველ გუშაგათ გადაგექცევი.
დღისით არ მოვალ, დღისით არ გნახავ,
ჩემის ტანჯვით მტერს არ მივვერი შვებას...
მწვავ მწუხარებას გულს ჩავიმარხავ
არვის გაუმხელ ამ ჩემსა ვნებას...

—

თოვლის სუდარა მიწას ჰფარავდა,
წყვდიადს შთაენთქა მშობელი არე,
ირგვლივ მოსჩანდა სიკვდილის ნიშნად
მხოლოდ სამარე... მხოლოდ სამარე!

ბ. პელაშვილი.

მეგობრისადმი.

(ფექსი ბრაზით)

მსურს ეგ საღამო შენ შეგწირო, ძმავ, მეგობარო! ჩემი გონება მთლად მოიცვეს ფიქრებმა შენზე. ვინ იცის? იქნებ პირობებმა, გარამოებამ გამოიწვიეს ჩემში შენი ეს მოგონება...

საღამო დროა. ღამის ბინდი ნელ ნელ ეშვება. დასავლეთისკენ ცა მოწითლოთ ჯერ კიდევ ღვივის, მკრთალი ნათელი ჩასულის მზის ჯერ კიდევ კრთოლავს, მარა ბრძოლაა დაწყებული ბნელსა და ნათელს შორის ..ერთი-მეორის მტერი არის, მტერი, სასტიკი; სდევნიან ურთ ერთს გამუდმებით მიწის პირიდგან; წყვდიადი ნათელს და ნათელი უკუნეთ წყვდიადს და შეუწყვეტელ იმათ ჭიდილს დროც თან მიჰყვება. ერთი კია, რომ დაკულია აქ სრული წესი: დრო თითეულის ბატონობის განსაზღვრულია ..

დიახ, სდგას ერთი ჩვეულებრივ საღამოთგანი. ღამის სიბნელე დღის სინათლეს შებრძოლებია. ეხლა წყვდიადის ჯერი არის: ის დასძლევს ნათელს. არეს თან ტ თან ეჯაჯება ღამის ბინდ-ბუნდი.. რათ მომაგონდი, მეგობარო, შენც სწორედ ეხლა?!.

— კაცთ ცხოვრებასაც აქვს თავისი ღილა, საღამო, დღე-პირნათელი, ღამე ბნელი, ღამე საზარი... გახსოვს შენ ის დრო, ის საღამო დაუვიწყარი?! ცა დასავლეთით წითლად იყო გაშუქებული, ცეცხლის სვეტები ასდიოდა სოფელ-ქალაქებს და ის სინათლეც ცაზე მაშინ ამისაგან იყო ცხოვრების წყვდიადს გაეშალა თავისი ძაძა, მოლოდ იმ ცეცხლის ჩანელებას უცდიდა იგი, რომ სულ ჩაენთქა, ჩაეყლაპა არე-მიდამო.. რას გავდა მაშინ ის დრო კრული, საღამო იგი?.. ღამე საზარელ ვეშაპივით თავს დაგვყურებდა და ცის რიერაკიც ჰგავდა მაშინ დემონის სიცილს. ასეთი იყო... გახსოვს, ძმაო, შენ ის საღამო?!. უსაზღვრო იყო მაშინ ჩვენი გულის ტკივილი, უსაზღვრო იყო ჩვენი, სევდა, ჩვენი ვარამი! . ჩვენ დდე გვინდოდა, დღე ნათელი, მზე უკვდავების, სიცოცხლე გვსურდა, ღამის ბინდი თავს გვაწვებოდა .. ჩვენ გვსურდა ქვეყნად დამყარება ბედნიერების, ბედნიერება ხომ უმზოთ არ შეიძლება, — აქ დღის ნათელს კი .. ღამის ბინდი უდებდა საზღვარს... ვეშაპი თან-თან მოიწევდა ჩვენს ჩასანთქმელად...

...ზღვა ბობოქრობდა. ზედ ჟრიცხვი მოსჩანდა გემი. ზოგს იალქანი დაჰფხრეწოდა ქართმოწოლისგან, ზოგისთვის საჭე მოეგლიჯა ზვირთთ მოხეთქებას, ზოგისთვის ღუზა, ზოგის აფრა, ზოგისთვის რიდე. სამშვიდობომდის კი გზა ისევ გრძელი მოსჩანდა.

ჩვენ გაბედულად გავაქანეთ ჩვენი ხავები, რომ სხვებისათვის მაგალითი გვეჩვენებინა ბევრმა მოგვბაძა... ვეშაპი კი ჩვენსკენ იწევდა. არ ვიცი, რატომ? ჩვენში მაშინ არ იყო შიში! დიდ საიმედო

კი არ ივენ ჩენი ნავები; უზარმაზარი გემებისთვის რა ეყო ზღვასა! ჩვენ-კი პატარა ნავებით წინ ვეშურებოდით... ჩვენ მკერდში გვედო უპოვრობის სალი კლდეები. შიში? ჰმ! კლდისთვის მცირე ნისლი რა უნდა იყვეს? წაიღებს ქარი, კლდე ამაყი იქვე დარჩება, მცირე კენჭისა ჩამოტეხაც კი არ ძალუძს ნისლს. ოჰ, რა კარგია მკერდი სავსე ძალით და წყრომით!.. ასეთნი იყვნენ სწორედ მაშინ ჩვენი გულებიც, რას ჩვენ გაბედვით გაკსწიეთ წინ ჩვენის ნავებით. ღამე ვეშაპი შუა გზაზე წამოგვეწია და ასტყდა ომი, საშიშარი გაჩაღდა ბრძოლა... დავმარცხდით ჩვენა, გაიფანტა მცურავი ლაშქარი: ზოგი ზღვამ ჩანთქა, გაიტაცა ზოგი ტალღებმა, ზოგს ღამის ბნელმა გზა სრულიად დააკარგვინა, ზოგს სტიქიონმა იალქანი წაჰგლიჯა სრულად და უგზო-უკვლოთ იწყეს ცურვა მათმა ნავებმა... ჩვენი ნავები დიდხანს, დიდხანს გაუმკლავდენ ჯანყს ბოლოს კი მაინც აგვივსო წყლით ზღვამ და ჩასძირა. ჩვენ არ დავყევით და მღელვარ ზღვას გადავერიეთ, მოუსვით მკლავნი, ვიწყეთ ცურვა, ბრძოლა ტალღებთან... რა საბრალონი ვიყავით ჩვენ მაშინ ამ ზღვაში!.. ჩვენს გულთ შიში ოდნავაც არ მიჰკარებია. სულაც არ ჰგავდა ის სიმღერას დამარცხებულთა: ჩვენ ისევ ვმღერდით საიმედო ჩვენს ძველს მოტივებს!... ზღვის ღრიანცელი კი თანდათან ძლიერდებოდა; ბოლოს სულ ჩანთქა და ჩაჰკლა მან ჩვენი სიმღერა ჩვენაც გაგვთიშა... არ ვიცი, შენ სადა ხარ ეხლა? მე ერთ კუნძულზე გამისროლა ზღვამ ბობოქარმა. იქნებ მეორე კუნძულისკენ შენც გაგიტაცა! ვინ იცის? მხოლოთ მე კი ისევ ცურვა მწადია. ნავი არ მქონდა, გამოვთალე ახალი ნავი...

საღამო არის. ჩვეულებრივ საღამოთგანი. მე უკვე მზათ ვარ: აი, აგერ ნავიც მიბმული! ზღვას ფართე მკერდი გადუშლია ჩემს წინ საამოთ, თით ქოს მიმიწვევს, მეძახის ზღვა. მპატიჟობს თვისკენ და მეც მზათა ვარ, მეგობარო! შენ, შენ სადღა ხმრ?... ოჰ, როგორ ძლიერ მენატრები შენ ამ საღამოს! ხვალ, როს ცის კიდურს გაეკვრება წითელი ზოლი, დილის რიჟრაჟით გამოჰკიდებს თვის ფერად დროშას, როს დილის სიო ჩამოირბენს, ზღვის მკერდს შეარხევს ნისლს მოსწშენდს თავზე და შორს მთისკენ გაიტაცებს მას,-მეც მზათ ვიქნები ჩემის ნავით ისევ სამგზავროთ. მაგრამ შენ ამ დროს სად იქნები, შენ... მეგობარო?! ვინ იცის? იქნებ ჩვენ ურთერთს კვლავ ზღვაზე შევხვდებით! მაშ, ისევ ზღვისკენ! მოდი მალე შენ, განთიადო! ფერადი დროშა გამოჰკიდე ცხოვრების ცაზე. მე ისევ მზათ ვარ ჩემის ნავით... წინსვლის სურვილით!.

ნ. ზომლეთელი.

მებრალები!

(ჯბრი აღ-ბულია).

მებრალები რომ მტკიცედ გიყვარვარ,
ჩემგან სიყვარულს, ალერსს მოელი...
ჰოი საბრალოვ! რა რიგ შემცდარხარ,—
არ გეღირსება შენ ჩემი ხელი!

—

იყო ნეტარი დრო, მეც მიყვარდა,
სიცოცხლით ჰფეთქდა ჭაბუკი გული,
მაგრამ მოევლო მას შავი ფარდა,—
დაბნელდა ჩემთვის მზე დიდებული.

—

ის აღარა ვარ, რაც ვიყავ წინად,
ტანჯვა-ვაებამ სულ გამომცვალა,
ჩაფერფლდა გული, გარდიქცა ჩრდილად,—
ბევრჯელ უზომოთ იტანჯ იწვალა.

—

შეხედე ამ შუბლს, დასჯენა სევდითა,
თვალებში ცეცხლი თითქმის ჩამქრალა,
გული ილევა ცრემლთა ფრქვევითა,
სისხლით დაცლილა, სრულად გამშრალა.

—

უგრძნოთ, უაზროთ დავილტვი სოფლად,
სევდის ქსელში ვარ გამომწყვდეული,
კოცნა ვერ მატკბობს, დაშთომილს ობლად,
სოფელს დავშორდი, სოფლით ეული.

—

ეჰ, ჩემო, წინად რომ შემხვედროდი
ეგებ აღმგზნოდა ტრფობის ალები;
დღეს კი—ცივი ვარ ვით მიწა, ლოდი...
ოჰ მებრალები! ოჰ მებრალები!

დარია ახვლედიანი.

რ ო მ ა ნ ს ი.

გეუმჯ ოცნებათ ადმოფრენა, გრძნობათა ჩქროლვით
ვსტკებოდა ისე ვით ტორიდა ცაში მფრინავი,
ქვეყნის მშვენებათ ეშხ-ნაკრავი, გულისა ორთოლვით
ჭამნს-ჭამნზე ფოხზავდა ვით ბულბული ტკბილად
მსტვინავი.

ვით ცა ულრუბლო, მთიებითა კაფაკოცნილი
სახება ჩემი მოკისკასეთ ეფო მცინარე,
ვით ზღვის ზალფეები ტალქ ნავეთ კაფაკარტხნილი
ჩემი გულიცა ნეტარებით ეფო მღელვარე.

მაგრამ შენ შეგხვდა... ფნებათ დელვეთ ეჩქროლებულსა
გრძნობა წარმტაცე... გრძნეულებით მომაჯადოვე,
ვერც კი მოგასწარ დაკვდომები ტრფობით შენს გულსა,
რომ მომატოვე... სევდის წყვდიადს დრმათ ჩამაქსოვე.

დ. თურდოსპირელი.



ბრძოლის ველიდან

აჰა, სურათი.. მხატვრის ოცნება!—
ზე-აღმაფრენის ცეცხლით ვნებულის!
ცოცხალ-უყვია თვით გულის გზნება
ბრძოლის ველიდან დაბრუნებულის.
ის ამ რაინდსა ანგარიშს არ სთხოვს,
რა ჰქნა? ვინ არი? — მისთვის ერთია,
წუთიერ განცდას შიგ სულსა აქსოვს,
იდუმალ გრძნობათ შემაერთია.

მაგრამ სურათზე მე კარგათ ვამჩნევ:
სისხლს. .დამარცხებულთ მოთქმა-გოდებას,
სიხარულის წილ ცრემლებს დავაფრქვევ,
ჰანგათ ჩავლესავ ჩემს მწუხარებას.
ამას რა ვკითხო?—მისი პალეტი,
უკითხავადაც ყოვლის მთქმელია,
სჩანს მოძმე ერის არი გამჟღეტი,
თავისუფლების თამთრგუნველია!

ეჰა, ცხოვრებავ, ოხერ-ტიალო,
სასტიკ წესზე ხარ დამყარებული,
ერთი რომ შვებით ზე აფრიალო,
სხვა უნდა დარჩეს დამარცხებული!

ერთ-მხრივ აშენებ დიდების ბაღნარს,
გვერდით გუზგუზებს თვით ჯოჯოხეთი:
აქ გამარჯვება!—ჰგალობენ იქ ზარს...
ცა-კი, არ ისმენს... ჟრუა თვით ღმერთი!!!

ნ. ჩხიკვაძე.

ჰატარა ფელეტონი

ჰაერ-ჰაერ.

ისევ მოვმართე ჰაერო-პლანი,
გავაპე შავთა ღრუბელთა მთანი,
ლაჟვარდთა შორის ვეძებ მუზებსა.
პროკოფის თავით განაქუზებსა
ბევრსა ჰგონია მისი სიცილი
ვითა წესია იყოს გულ-წრფელი,
მაგრამ ამ გვარი არ სწამოთ ცილი,
დამნაშავეა აქ საღერღელი—
მწარედ აშლილი...ძიუწდომელი,
როს გაგიელვებს მუზის არჩდილი,
გონებას ჰკარგავ, ჰხდები ვით ხელი,

მას მოსდევს უკან, —ჭკუის სიკვდილი.
სწორედ ეს შეხვდა ჩვენს ასკანელსა,—
შთავარდა იგი მუზის ქვესკნელსა
და, ჭაობიდან, ბრაზ-მორეული,
სხვებს უპატინებს ლაფიან ხელსა
ამ გულის მურსა ის სხეაფერ ჰფერავს,
თვის სულ ის ტეხას, სარკაზმით ჰკერავს,
მაგრამ საბრალოს ეკარგვის ფონი,
(ჰა, შეხეთ შური რა-რიგათ ჰბერავს:)
რომ აქ, მიწაზე ვერას გამხდარა,
ფრთები შეუსხამს, ცაზე ამდარა,
აპოლლონის წინ არს განართხული
და, შეჰქვითინებს ცრემლ-მორეული:
„—მუზა არ მწყალობს, დამატყდა მეხი
მითხრა: გარგებსო სატვირთო კეხი,
სული მეხუთვის, გავფუჭდი კაცი,
ჭკუამ დამიწყო ცუდათ ბარბაცი.
ესეც კი ვქენი მუზთ „ნაჩალნიკო“
აი, თფილისში რო არი ნიკო,
იმას ცოტა ხნით ვსთხოვე ჟურნალი
და, ყველა მგოსნებს დავარტყი ნალი.
რომ წამეხდინა, მთლად დამექუზა
და...გაჰფრენოდათ უეცრად მუზა
მაგრამ ვერ დავსძარ მე ლეჩხუმელი,
სახეში სილა გამაზნა ცხელი.
(ეჰ, ჭკუისა მჭირს!..) ზეცით მოგრაგნილ
მეხად დამატყდა თურდოსპირელი.
ქუჩიშვილი მთლად ცეცხლად მომედო,
(აწ დამიფარე შენ შემოქმედო!)
რისხვა ყოფილა ახოსპირელი,
ლექსით მომწყვიტა საბრალოს წელი.
ტიტე ტაბიძემ წესი ამიგო,
შავი საფლავის კარი გამიღო,
ჩხიკვაძემ ფიქრი უცბათ გამიგო,
და მითხრა—„ბიჭავ მსურს დაგარიგო:
როცა ოხერი აგიტყდეს მუზა,
რიონს ესტუმრე, გაიძვრე ბლუზა,
სიცხე გექნება... ჩაჰყავი,
ვაგიგრილდება ეგ სქელი ტყავი.
თუ კვლავ ვერ დასცხრე, არ განქრეს შური,
ააწევინე შენს ნიკოს ყური,
ან გუნიას წინ მოჰყარე მეხლი,
რომ დაგაკურთხოს მან „ნიშადური“.
მე არრას გერჩი.. ვერას დაგვაკლებს
მიზანს ამცდარი, ვირის პანღური!..“
აი, მუზთ მეფევ, ასე დამსაჯეს,
აწ შენ შეგვედრი, შეგთხოვ ერთ რასმეს:
მოსტაცე ყველას ნიჭი დიადი,
წარმოუვლინე ჭკუის წყვდიადი,
რომ ვეღარც ერთი ვერარას სწერდეს
და, ჩემებრ შურით გული უძგერდეს.
მაშინ რა მუზა სხვას ვერა ნახავს,
ქვეყნის დიდებათ სწრაფლ მე დამსახავს“
რა აპოლონმა ისმინა ესა,
უთხრა იმ შლაპე ბიჭს ასკანელსა:
— წა, დაიკარგე კაცად ბაყაყო,
ამ წმინდა ადგილს აწ გაეოიშე,
მაგგვარი შურით რაც იამაყო
მიდი და ნიკოს უანგარიშე!“
ამ დროს პროკოფის მეც ჩავექროლე,—
ხელი დავავლე ბინძურ ქოჩორში
და, ვითა ბურთი გადავისროლე
ქუთაისისა სამკითხველოში.
მას ჟამსა შინა, როს ის დავიხსენ,
სადგურისაკენ მყისვე პირი ვქენ,
ვეძებდი ჩვენსა თანამშრომელსა,
ეხლა „ბურნუთი“ ჰქვია რომელსა,
მაგრამ არ იქნა ვერ ვპოვე ვერა,
ვსთქვი: თუ დაკარგვა ბედათ ეწერა,
რა ქუთაისში და არ თფილისში,
როგორ უდროოდ ჩაგვაგდო ჭირში!
ამ დროს შევნიშნე ერთსა ებრაელს,
(საწვრილმანოსი ეკიდა ყუჟი)
უცბად იმას ცხვირს დააცემინა,
და სწრაფლს გამოშპა მუნით „ბურნუთი“
განვცვიფრდი კაცი ამ სანახავით,
ვეკი ებრაელს ძლიერი მკლავით:
— ეს რა გიქნია? ვინ ხან, რომელი?
სად გყავდა ჩვენი თანამშრომელი?
— ბატონო! ვფიცავ „აკატის ბარუხსს“
თუ ის კაც იყო აღარ მეგონა,
ცხვირის ბურნუთად, შამელა ბიჭსა
ჩემ გოგოსათვის ის აეწონა.
და შეუმჩნევლად თან წამოვიღე,
ნუ გამიწყრები, მადლი მოიღე!“
ამა სიტყვებით მომილბა გული,—
არ მიუძღოდა დანაშაული,
ისევ „ბურნუთსა“ ჩავჭიდე ხელი,
ზე ავიტაცე საწყალოპელი.
ვკითხე „ბურნუთო“ რა მოგივიდა,
შიმშილით გული თუ წაგივიდა?
ან რა უყავი ჰაერო-პლანი,
ტრაპახობით რომ შესძარი მთნი?
— ეჰ, რაღა გითხრა ჩემო ძამია,
ორი დღე პური არ მიჭამია.
პურად-ძვირია ქუთათურები,
კარებს მიკეტენ უმადურები!
ჰაეროპლანი?—ქარმა წამართო,

და ჭირზე ჭირი უფრო დამარო.
იმ ებრაელმაც დამიძაბუნა,
ნახე ცხვირიდან გამომახტუნა...
ეჰ, ვსთქვი სჭირია ამას წამალი,
ვასვი, დაუცხრა შიშის ცანცალი,
შემდეგ საბრალო შევისვი ფრთებზე,
გადავაქროლე თოვლიან მთებზე.
დიდი მანძილი სწრაფლ გადავლახე.
საათის უკან, თფილისი ვნახე.
დავთანხმდი გულის სურვილს და ნებას,
მივადექ ნიკოს ჟურნალს „ცხოვრებას“.
რა გადავშალე პირველი გვერდი
გულისა ხეთქით გამერღვა მკერდი:
„დამნაშავე ვარ, გცოდე უფალო,
მონა მორჩილი გთხოვ შემიწყალო!“
ამოვიკითხე და თავსა ვკითხე:
სით მოევლინა ეგ ჭკუის სითხე?
სად ჰპოვა ესე ფილოსოფია,
ზოლასი ხომ არ განაყოფია?
მაგრამ ბოლომდის ჩავარაკრაკე,
სიცარიელის წარმტაცი ვაკე
და, რა სიამე ვიგრძენ მით ვერა,
მყის ამოვკიდე სევდის სიმღერა:
ვაჰმე ღმერთო, რა დრო დადგა,
ხელოვნება განზე გადგა,
აზრებს უგვანს, დანამძაღებს,
შეხეთ ნიკო დღეს ასაღებს.
ორმოცი ჰყავს რედაქტორი,
არ სავარგი, შორი-შორი,
გაგვალაყეს...არ-კი სცხრება,
„უცილობლობს როგორც ჯორი.“
მაგრამ გეტყვი ჩემო ძია·
სად შენ და სად პოეზია?
კრილოვის თქმის აღარ იყოს,
ვგონებ ვეღარ შეგიტყვია,
რომ „მეწაღე, თუნდ იტანჯოს
ვერ დააცხობს ხაჭაპურსა
და, მეპურე წაღის კერვით
ვერ გაგვიწევს სამსახურსა.
მაგრამ რაღა შეგასმინო,
საქართველოს თვალის ჩინო,
სნეულებათ მოგვლენია
რომ სულ მუზას უხიცინო.
და, ვით შენმა პროკოფიამ,
თუ ეგ ! აქმეც ვერ შესძელი,
ბრაზით გასკდე... სხვის სულ-გულში
აფათურო ზიზღით ხელი.

დემონი.

კვირიდან კვირამდე.

სწორეთ მეორეთ მოსვლის ნიშნებს ვხედავთ დღეს. ჩვენი ცოდვილი ქვეყანა ისე აირია, ისეთი საარაკო ამბები ხდება, რომ ეჭვი არაა კარგს არას უნდა მოველოდეთ მომავალში. ბართალია, დრო და გარემოების წყალობით ადამიანებში მეტათ გავრცელდა ნევრთა აშლა, წინათ დინჯ და წყნარ ადამიანებს, უბრალო სიტყვა, აზრის უბრალო გამოთქმა ძილს უფრთხობს, მაგრამ, ეს წინათაც მომხდარა ხოლმე, წინათაც სჩვეოვათ აღელვება, თუ წინათ რაიმე მაგარი მოვლენა ღრმა შთაბეჭდილებას ახდენდა ადამიანზე, ეხლა უბრალო სიტყვა დავთარს უბნევს, სასოწარკვეთილებამდე მიჰყავს. ყველა ეს უტყუარი ნიშნებია მეორეთ მოსვლის. აშკარაა კაცობრიობას ნიადაგი ეცლება და უფსკრულისაკენ მიექანება. ამის ნიშნები კი ის არის, რომ ამ ბოლო ხანებში ქვეყანას მრავლათ მოეფინა ჟურნალ-გაზეთები. ცხონებულ ბებიაჩემისგან გამიგონია, რომ მეორეთ მოსვლის წინათ პრესა უმწვერვალეს წერტილამდე მიაღწევს, ჟურნალ-გაზეთებს რიცხვი აღარ ექნება, ადამიანები ეცდებიან რაც შეიძლება დაიჩქარონ თავიანთ აზრის გამოთქმა, ბოლოს იქამდე მივა საქმე, რომ ყველა საუკუთარ გაზეთს გამოსცემს და ქვეყანასაც ბოლო მოეღება. რაზე ამყარებდა ამ თავის წინასწარმეტყველებას, საბრალო ბებია ჩემი, არ შემიძლია ვსთქვა, მხოლოდ ეს კი ვიცი, რომ მას ქონდა ერთი რაღაც ძველთა ძველი წიგნი და ასეთ წინასწარმეტყველების დროს მუდამ იმას მიმართავდა ხოლმე. ბებია ჩემი, რომ აშკარა ბეშმარიტებას ღაღადებდა, ამაში ეჭვი არავის დაებადება. როცა ის ამას ლაპარაკობდა, აუცილებლად სახეში ჰქონდა ქართული პრესა. ეს აშკარაა. ისიც აშკარაა, რომ ის გრძნობდა ქართული პრესა განვითარების უმწვერვალეს წერტილს მიახწევდა, ახალ ამბებში დაიბეჭდებოდა რომანები, დრამები და მოკითხვის ბარათები, უბრალო ამბებს ადგილი აღარ ექნებოდა. ბებიაჩემის ეს საზარელი წინასწარმეტყველება გამართლდა ამ სპედისწერო გზაზე პირველათ ერთმა საორშაბათო გაზეთმა შესდგა ფეხი. ამას წინათ ახალ ამბებში შემდეგი მოკითხვის ბარათი ამოვიკითხე: „ძმაო ლავრენტი! შენი ჯორის გარდაცვალებამ მთელ საქართველოს თავზარი დასცა. სიმართლე უნდა გითხრა, იმისთანა ჯორი მთელ კავკასიაში არ ბოგინობდა. თვალის წარმტაცი და საუცხოვო იყო მისი კუდის გაქნევა, როცა ის ბუზებს იგერებდა, აქ მთელი პოეზია იხატებოდა. ამიტომ ყველა ქართველს გული უნდა დაეთუთქოს მისი გარდაცვალებით“. ამ სტრიქონების შემდეგ გაზეთი ვრცელ

წერილს უძღვნიდა საზოგადოთ ჯორთა შთამომავლობას, დაწვრილებით აღწერილი ჰქონდა ჯორების გვარეულობა და მათი ღვაწლი კაცობრიობის წინაშე. ამ მოკითხვის ბარათის წაკითხვამ მომაგონა ცხონებულ ბებია ჩემის სიტყვები. როცა კვდებოდა მითხრა: „შვილო! გახსოვდეს ერთი რამ: ჟამსა მას ოდეს ჩვენ ბედკრულ საქართველოში გამრავლდნენ გაზეთები, როდესაც უბრალო ახალ-ამბების მაგიერ რომანების, მოკითხვის ბარათების და პუბლიცისტურ წერილების ბეჭდვა დაიწყონ, მეორეთ მოსვლა მოახლოებულია და სულის გასაწმენდათ მოემზადე»-ო. ეხლა მტკიცედ მწამს, რომ ეს დრო უკვე დადგა.

—

ამის დასამტკიცებელი საბუთი ის არის კიდევ, რომ ამ უკანასკნელ ხანებში ორ კაპეიკიანმა გაზეთებმა ლაპის არის სული ამოგვხადოს. მოსაწონია ერთი გარემოება: ორკაპეიკიანი გაზეთები ისტორიულის წეს-რიგით იჩეკებიან. ღმერთმა პირველათ გაჩინა სინათლე, ამიტომ დაიბადა როსტომ-მაშვილის „სინათლე“ (კურთხეულ იყოს მისი სახელი) განვლო დრო ჟამმა, ღმერთმა გააჩინა ხალხი, ამიტომაც გამოიჩეკა „ხალხი“. თუ აქ ყველაფერი სისწორით გაკეთდა, მეორე მხრით სულ წინააღმდეგობას ვხედავთ. ღმერთმა სინათლე გააჩინა ხალხისთვის, ხალხი კი სინათლისთვის. აქ კი „სინათლე“ „ხალხის“ წინააღმდეგ გამოვიდა, „ხალხი“ „სინათლის“ წინააღმდეგ. „ხალხს“ სურს ჩააქროს „სინათლე“, „სინათლეს“ კი სურს გაანადგუროს „ხალხი“. ერთსაც და მეორესაც სურს ხალხის, ქართველი ხალხის, განვითარება უმწვერვალეს წერტილამდე მიათრიოს, მაშინ კი მეორეთ მოსვლა აუცილებელია. ეჭვს გარეშეა ამ შემთხვევაში ბებიაჩემის წინასწარმეტყველება გამართლდება, ჯერაც ყურში მესმის მისი ნაღვლიანი სიტყვები:

„ხალხი“ „სანათლე“-ს შეებას
თფილისმა იწყოს ზანზარი,
ძმამა ძმას გული გაუპოს
როს შემოაკლდეს ქანქარი.

წინასწარმეტყველება ესე აღსრულდა. მხოლოდ ძნელია იმის თქმა ვინ ვის გაუპობს გულს. ჰაერი სისხლის სუნით გაჟღენთილია, შავი ღრუბლები თავს გვაწვებიან. ბებიაჩემის წინასწარმეტყველების აღსრულების დრო შორს არ არის, მეორეთ მოსვლა აუცილებელია.

ნაღარა.

ღ ე ლ ვ ა

(ნაწყვეტები)

(დასასრული).

IV

იდუმალებით,
დიდრონ თვალებით,
ზღვას ეძინება...
თითქოსა გძინავს, —
ვინ იცის ჰყინავს!
არ ეღმანება!?!
იქნებ საუბნოთ,
ბაგე სამუდმოთ
დაეგმანება!
ამაოება,
თუ სასოება,
რა ეზმანება?
ღრმა მდუმარება
და მწუხარება
ზედ ეფინება...
ხან ერთის წამით,
თითქო სიამით,
ეღიტინება.—
ნეტა თუ გულში,
მძიმე ჯურღმულში
მზეს ეცინება!!!
ბნელა, დრო და ჟამი
კვლავ დაფიქრებულა;
არსად ისმის ჩქამი,
ზღვა გაფითრებულა;
ნავთა დასაბამი
გაფუჭებულა. .
და თავისუფალი
მოყირჭებულა...
ცოდვის ენა მტყინავი
ღამის მოუბარია,
სამლიქვნელო, მზრზინავი
სევდის ნაგუბარია;
სუნთქვა სასო მიხდილი,
გლოვა, ცრემლის ღვარია,
სულიერი სიკვდილი
ბნელეთს ჩაუბარია!..
მწყრალათა სწვეთავს სიცოცხლე
ტანჯვის ნაღველად დამდნარი,
ბრალათ-ღა ღვენთავს ხან-მოკლე
ყოფნა-არ-ყოფნის საზღვარი.
დაღმა მიქანავს ცხოვრება,
ვით უსინათლოს სიზმარი,
და რაღა ემაცხოვრება—
უფსკრულზე არის მიმდგარი...

ბედის დალმართზე სიკვდილი მოჰქრის,
იწვის სიცოცხლის სხვიერი ნამქრალი
და ბელზებელი პირ-ცეცხლს ამოჰყრის
ძალა მლიქნელი, ძალა მსახვრალი...
ბრდღვინავს დრაკონი, გაცოცხლდა ჰიდრა,
ზღვაზე დაბორგავს, მას დაემკვიდრა!!!
... ცოდვის ქარბუქი და შიშის რგვანი,
ნგრევა-ნქრევანი სვრანი და ძვრანი...
ვაი, სად არის მზე ცეცხლოვანი,
ბნელა, წინა სდგას გზა ეკლოვანი...
ზღვა-კი მდღმარებს, მისი ტალღა ლეგიონური.
ალარ მოსძახის, დასცემია გლოვა მონური. .
მძიმეთ ჩაეშვა, ჩადგა ძალა სტიქიონური,
მათ თითქოს თვის გულს მდუმარებით
დაუდო ყური!!!
და სძინავს ჯერა,
მისი სიმღერა,
გულს იდუმალათ,
გენიის ალათ
მოეფინება ..
თითქოს აცნობებს
ოცნება-გრძნობებს,
რომ იქ გულშია,—
ღრმა უფსკრულშია,
ზღვის კიდე განში,
თითქოს აკვანში
მზეს ეცინება!..

V.

...ეგრე, ვით დღესა ბნელში უდგას თვისი აკვანა,
იქ იბადება, ვითარდება, და იშობება,
ან ვით მიზეზი—შედეგია თავის მიზეზის,—
შედეგში კვალათ სხვა მიზეზი განიმყოფება...
ან კვლავ, ვით დედა შვილიც არის და თვით მშობელიც,—
პირველ შემთხვევით ბოროტიცა, კეთილმყოფელიც,
რადგანაც ერთ დროს იბადება და თანაც კვდება...
ყველა თანდათან, თანაც სწრაფათ, უცფათა ხდება...
ყველა ხილული, უხილავი, რაც გულსა ხვდება
უკვდავიც არის და მოკვდავიც, რადგან იცვლება...
თუ არრა არის,—სავსე რისგან. რა დაიცლება!
არა რა კვდება, მხოლოთ სახე გავდაიცვლება ..
და ყველა არსი, ხორცი, ხული, ფერი დირსება,
ერთი მიზეზის შედეგია, ანუ თვისება...
ერთია იგი, უკვდავია, ის არის ღმერთი:
ამღებ-გამცემი, დამდგენელი, უარმყოფელი;
არსად დაუდგამს სამკვიდრებლად მას ბინა ერთი,—
ის თვით ბინაა და მცხოვრები, ყველგან მყოფელი...
ის ხილულია, ყველაფერი განუყოფელი;
ის დიადია, არსადა აქვს მას სამყოფელი...
მისი ყოფნაა ყველა ყოფნა და თვით არ ყოფნა
და არსად არის, თვით სიკვდილშიც—იგი არყოფნა...
ის სიცოცხლეა; ყოფნა არის ყველა არსების,
ერთ არსებაა უთვალავი თვისი მსგავსების:
იგია სივრცე, ცა და მიწა, უსაზღვრო ჟამი,
თვით მეარსები, უკვდავება, თვით-დასაბამი...
ის ხილულია, ყველა იგრძნობს, მას ყველა ნახავს,
თუ მის გარშემო სხვას არავის არ დაისახავს...
და მისი ხმები ყველას ცხადათ მოესმინება,
ათას ფერია, დასაჯერათ მოევლინება;
აქ გარმონიათ, სურნელებათ მოეფინება!..
ტკბილია იგი და თვით არის მწარეს მხილება,
მაგრამ არ ესმის ბეკრს იგი, ხმა არ ეტკბილება.
სურს მას გასცილდეს და უხილავს ეპოტინება...
გარეგნულათა გადახვევა ეადვილება;
ცხადში-კი მის ხმას, მის ღრმა ნებას ემორჩილება.
აქ საჭიროა უშიშარი გამოცდილება;
სულის სიმტკიცე, დაკვირვება და მორჩილება...
მას სრულათ ვერვინ ვერა ნახავს, ის უებია;
მისი სიცოცხლე უცაბედი გადამდებია,
ყველა მცნებების იგი სრული თადამდებია,
თავის მცნებარე და მასთანვე შემაცნებია...
სრული დანახვა, სრული სიტყვა, და სრული ცნობა
მას შეუძლია, მას შეჰფერის და მას ეძლება;
უცეცხლო ენა, წუთიერი მოკვდავი გრძნობა.
მას ვერ გამოსთქვამს უნაკლულოთ, არ შეეძლება...
და თვით ეს სიტყვა, ეს სიმღერა, სიტყვების ბერა,
მისი ზღვათა ზღვის ერთ უხილავს წვეთს შეედრება;
მის სიდიადეს ვერვის ამცნობს უნაკლოთ, ვერა,
კვლავ შეიცვლება, მისვე გულში უკუ იღვრება;
იქ არ გაჭრება, მის კალთაში არ დაიცლება,
მხოლოთ მოკვდება და მასთანვე გარდაიცვლება...
ახლათ იფეთქებს, აენთება, თვინიერ მჯერა,—
აღორძინდება კვლავ სიცოცხლის მგზნები სიმღერა...
მჯერა სიცოცხლე, არსებობა, ბრძოლა ცხოვრება,
სიკვდილის მერეც კვალათა მწამს - მემახსოვრება;
რომ იგი ღმერთი უკვდავია და მის უბეში,
მე ავღიზინდი, კვლავ მოკვდები და მეცხოვრება...
ის არის ერთი ხორციელი მკვიდრი ნუგეში,
ყველა მოკვდავი მას გამოჰყავს — ემაცხოვრება...
და ვისაც უნდა მისი რწმენა და მისი ცნობა,
გრძნობა, დანახვა, გაგონება და გამოცნობა,—
იგი მის ცაში ნუ იგულებს უცხო სახითა:
ის ყველგან არის სახით, ფერით, დასანახითა...
ის ყველა არის: ცა, მსოფლიო, ქვეყნიერება;
მღილიც, ყვავილიც, არის მისი სახიერება...
ხილულიც არის, უხილავიც, ის არის წინდი
ყველა ცხოველის,—და კვლავ არის იგი სიმბოლო;
რადგან მას ჰფარავს უთვალავი ცვლილების ბინდი.-

სრულ გასაგებათ მას არ უჩანს თავი და ბოლო:
იმის გულის თქმას ყველა ჰყურობს, ყველა მიხვდება,
მაგრამ თვითონ მას საბოლოოთ ვერვინ მიწვდება ..
ყველა სიცოცხლე მისი ბრუნვის არის თვისება,—
ნება-უნებოთ ყველაფერი მას ეთვისება...
ბუმბერაზია, მოკვდავს ენას არ ემხილება,—
იგი თავის თავს და ყველა მას ემორჩილება ..
იმისი რწმენა გულს სიცოცხლეთ ესალბუნება,
აღარა სწამლავს შიში, იტვი და ურწმუნება ..
და ეს ღმერთია სინამდვილე, არა ცდუნება,
თვით დასაბამი; თვით მეარსე,—მთელი ბუნება!..
...ზღვაც გაიღვიძებს! არ მომკვდარა, ის მხოლოდ
დადგა. .
იგი ღარია ცხოვრებისა, ნაობ ბინდობა;
მან თავის გულში წინდაწინვე აკვანი ჩადგა,
იქ მზე იცინის ძე, სილაღე, რწმენა, მინდობა!..
ზღვა იგი თვითონ შვილი არის დიდის დედისა,
თვით დასაბამის ბუნებისა, შემოქმედისა;
„მან“ ზღვას ასწავლა დედობრივი სიცოცხლის ნანა
და იმის გულში მზე დასახა, გამოიყვანა. .
ზღვა აკვანს ურწევს დაიზრდება ის მხოლოდ ერთი;
მზე სიცოცხლისა,—დიდი ღმერთის პატარა ღმერთი!.
...ცხოვრების ზღვისა ტალღა მძლავრი, ტალღა
ხმიანი,
კილო ღელვისა, ბრძოლის ალღო, ადამიანი
აღარა ჩქამობს... ჩადგა ძალა სტიქიონური,
დაეშვა მაჯა, ჩაწვა მკერდი ლეგიონური,—
თითქოს დრო და ჟამს, მის გულის თქმას დაუგდო
ყური...
ჩაქცეულ გულში კვალათ ღვივის გენიის ალი,
იქ ბნელეთს ებრძვის დღე ნათელი, დღე მომავალი!.

* * *

მეც ვინ ტარებ, თუ ეს სიტყვა მგზნებარე წვეთათ,
ზღვაში მანამდის სათანადოდ გარდაიცვლება;
ერთი ათასის ამნთებარეთ, ტალღასთან ერთათ—
არ დაიცლება, მაშინ მწუხრი დღეთ შეიცვლება.
ზღვაც გაიღვიძებს დიდრონ თვალებით,—
აღარ იქნება ტანჯვა-წვალებით—
ზვირთებს აღმართავს, სტყორცნის მალებით.
შემართებული ძალითა ძალებით;
მისი გულიდგან იდუმალებით,
მზეც აღმოხდება ცეცხლის ალებით,—
იგი გაათბობს ქყვეყანას,
აყვავილდება მთა-ბარი
და აშენდება საქვეყნო
უშლელი რწმენის ტაძარა!..

ვ. ტუქსიშვილი.

თიანეთი 1909 წ.

მოწერილი ამბები.

(პროვინცია).

გურია. თათქოს „ადამიანებისაგან“ მეუნებული ტანჯვა-წვამებ არ ეყოფოდა გურულ ხალხს, მის წინადადეგ ბუნებაც ამხედრდა და ის რაც დარჯა—ზარალი ბერეგმა დაკარგო, მეორემ შეუსრულა!..

ასეთია სიშინელა ზამთარი ჯერ გურიაში არვის ახსოგს! ერთი თვე სრულდება თათქმის გამუდმებით თოვს. როგორც ეფო თოვა შეწედა 3 თებერვალს, ს

ნის დროს. მტხოვრებლებმა გვიან კაიგეს და ამიტომ ვეღარ მიეშველენ.

— სურები და ერეკეთი, მამასახლისი კეკელიძის და შამდალაძის მოგვლის გამო, ჯერ არ დაუკარამეთათ. მოხსნეს ამას წინეთ შემოდებული ეარაულები.

— ა.

—

ბათუმი. გინუწყვეტლივ სოფს. ეკარიდან ტნობა მოვიდა: დიდი თოფლის გამო გზებზე მიმოსვლა შეწყვეტილია; სალსის გასაჭირს სიზღვარი არ უჩანსო. ბათუმის გუბერნატორი ეოველ დღე ბრძანებებს იძლევა გასწმინდეთ თოფლისაგან გზებთო, მაგრამ ესრულება ასეთი ბრძანებისა ტეხნიკურათაც მოუხერხებელია; და რა გასაკვირია, თუ ეს ბრძანებები ალესრულებელი რჩება. სოფლებიდან ეარეული შუშები მოაწყვეს ბათუმს სამუშაოს მოლოდინში, მაგრამ ბევრი მათგანი უმუშაოთ რჩება, რადგან რეინის გზის რამოდენიმე მოსამსახურე სამსახურიდან თავისუფალ დროს გამოლის და დღიურ ქირაზე მუშაობს და ბოფლიდან ჩამოსულები კი დიდიან სალამოდე დოდალობენ, ეძებენ სამუშაოს და ვერ ბოულობენ, რაც ეოველეგე ამედი ეკარგებათ სამუშაორის შიგნისა, მაინ ის უფრდება კანტეტებში მალ ესხსნილ ბოდრჩიკების *), რომელნიც დიდიან სალამოდე ამუშაეებს მუშებს და სალამოს კი სამი ანაზათ ისტუმრებს ბინაზე; თითონ კი ორი-სამი მანეთისც არ სჯერდება თითო მუშისგან მოსაგებს... ამ კარემოებას რეინის გზის ადმინისტრაციამდე მაქცია ეურადღება, სასტიკი კანტროლიც მეუეენა, რომ დაიცოს მუშები ამ სასტიკი შინაური ექსპლოატატორებისაგან, მაგრამ ისეთი კომბინაციები მოწეეს ეისინც ჯერ არს, რომ ჯერ-ჯერობით თავისუფალთ დთარეშობენ მუშების ზურგზე; სიკეთოა ამას ეურადღება მიაქციოს ე

იქიდანვე. ჯერ წ. კ. გამ. სიზოგადოების ფი�ადურ განეოფილების „დრამატიულ დასის“ კარდა (თუ კი შეიძლება მას ასეთი სახელი უწოდოთ) ეს, ამ ორასამი თვის უკან შედგა სტენის მოყვარეთა ჯგუფი, რომელშაც თითქმის უმეტესობა რეპეტიტორებისა ერიან. მართალია, ეს ერი ეროვნის გზის მოსამსახურეები ერიან. მაგრამ ეს ერი ეროვნის გზის მოსამსახურეები საკერთოდ ეოველ კულტურულ საქმეს კურობიან, მაგრამ მა შორისაც მოიძებნებიან ისეთი პირები, რომლებიც ეოველ დროს ძალებს ხმარობენ შეაშუქონ მათში განეითარების ს